პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 18 ოქტომბერი, 1944 წ. № 211 (7164). ფასი 20 კაპ.

ზამთარში რკინიგზის ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობისათვის

წითელი არმიის ღვიძლი ძმა — რკინიგზის ტრანსპორტი შედის წლის უფროსად საპასუხისმგებლო პერიოდში — მოახლოვდა ზამთარი და ტრანსპორტელების წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დგას ამოცანა: ჯანსაღი მოძრავი შემადგენლობით შეხვდნენ მას, უზრუნველჰყონ ზამთარში ტრანსპორტის შეუფერხებელი, ნამდვილად გართული მუშაობა.

ახლა როდი დაიწყეს რკინიგზებმა ზამთრისათვის მზადება. ეს მუშაობა ადრე-კავკასიის რკინიგზაზე დიდი ხანია მიმდინარეობს და ჩვენ უკვე შეგვძლია შევაჯამოთ შედეგები, აღვნიშნოთ, თუ რა მიღწევები, რა ნაკლოვანებები აქვთ ამ მხრივ ტრანსპორტელებს. ეს შედეგები მოწმობენ, რომ ზამთარი მოუმზადებელს ვერ მოუსწრებს ჩვენს რკინიგზელებს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, თითქოს მთელი მუშაობა ამ მხრივ დამთავრებული იყოს და გასაკეთებელი არაფერი გვქონდეს.

ზამთრის პირობებში ტრანსპორტის ნორმალური, შეუფერხებელი მუშაობისათვის პირველყოვლისა საჭიროა გვქონდეს **ჯანსაღი მოძრავი შემადგენლობა.** ეს იმას ნიშნავს, რომ მოძრავი შემადგენლობა რემონტიდან გამოვუშვათ მაღალხარისხოვნად შეკეთებული, მოვაწოდოთ **დეპოებში, ვაგონსარემონტო პუნქტებსა და სადგურებზე** მისი ოდენობის მკვეთრად შემცირებას. ამ მხრივ სერიოზული პასუხსაგები ამოცანები აკისრიათ მევაგონეებსა და მეორთქლმავლეებს. ორთქლმავლების შეკეთებასთან ერთად საჭიროა მათი **დათბუნება** ყინვების დადგომამდე, ისევე როგორც ვაგონების დათბუნებაზე ზრუნვა ახლა როდი იწყება. ამ სამუშაობის გეგმას ბევრ სავაგონო და საორთქლმავლო დეპოში წარმატებით სრულებენ, იყენებენ იმ მდიდარ გამოცდილებას, რაც რკინიგზებს აქვთ ზამთრისათვის ტრანსპორტის მომზადებაში. ეს გამოცდილება პირველყოვლისა აქვთ თბილისის საორთქლმავლო დეპოს მუშაკებს, მაგრამ მათ დღემდე ვერ შესძლეს ყველა ამ პირობების გამოყენება და ჩამორჩნენ ზამთრისათვის ორთქლმავლების მომზადებაში.

ბათუმელმა მევაგონეებმა საუკეთესო ნიმუშები გვიჩვენეს ზამთრისათვის **ვაგონო პარკის** მომზადების საქმეში. მათ ერთი თვით ადრე დაამთავრეს ზამთრისათვის მზადება და, შეიძლება ითქვას, ისინი უკვე მზად არიან არ ისცენ ბუნების სტიქიას შესაძლებლობა თუნდაც ოდნავ შეაფერხოს ტვირთზიდვა.

ზამთარში გადიდებული ტვირთზიდვის გეგმის შესრულება, რკინიგზის ტრანსპორტის შეწყობილი, საათის კარგი მექანიზმივით მუშაობა მოითხოვს **ტრანსპორტის საფუძველი — ლიანდაგი სანიმუშო მდგომარეობაში იყოს.** ყოველთვის კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ **ლიანდაგი რკინიგზის ტრანსპორტის ერთ-ერთი ძირითადი კაპიტალია** და მის სანიმუშოდ **მოვლას, შენახვას** დიდი მნიშვნელობა აქვს. თოვლწინააღმდეგო მექანიზმების მომზადებასთან ერთად, მელიანდაგეებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ ლიანდაგის მაღალხარისხოვანი რემონტისა და სანიმუშო მოვლის უზრუნველსაყოფად. უნდა გამოვიყენოთ მოწინავეთა გამოცდილება ლიანდაგის როგორც შეკეთების, ისე მოვლის დარგში. ყველგან უნდა გავავრცელოთ ლიანდაგის შემომვლელ კაზანცევის ინიციატივა, მოვაწყოთ სალიანდაგო სამუშაოზე თავისუფალ დროს ყველა სამსახურის რკინიგზელისა და მათი ოჯახის წევრების გასვლა.

ამ მხრივ მისაბაძი მაგალითები მოგვცეს ხაშურელმა რკინიგზელებმა. ადგილობრივმა მელიანდაგეებმა ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინეს. მათ თავისუფალ დროს დაამზადეს 1.500 შპალი. მონდომება და საქმისადმი პატრიოტული დამოკიდებულება გვიჩვენეს გზის ოსტატებმა გ. გაგნიძემ, ნ. გონგაძემ, ბრიგადირებმა პ. დათუნაშვილმა, რ. რაზმაძემ და მ. გონგაძემ. ასეთ თაოსნობას ფართოდ უნდა დავუჭიროთ მხარი და ყველგან გავავრცელოთ.

მაგრამ არ კმარა ლიანდაგის მარტო რემონტისათვის ზრუნვა. საჭიროა ლიანდაგის ყოველი შეკეთებული კილომეტრის სანიმუშო მოვლა. ამ მხრივ მისაბაძ ნიმუშებს იძლევიან სადგურების — საჯევახოს, სვირის, ძირულის, ხარაგოულისა და მარელისის გზის ოსტატები შ. მშვილდაძე, ა. თურქია, ვ. ჭიკაშვილი, პ. კიკნაძე, გ. წითელაშვილი და სხვ. მათი გამოცდილება ლიანდაგის მოვლაში საჭიროა მისაბაძი გახდეს მელიანდაგეებისათვის.

ზამთრისათვის რკინიგზის ტრანსპორტის ყოველმხრივ მომზადებაში დიდი მნიშვნელობა აქვს **შინაგანი რესურსების** ფართო მობილიზაციას, თვითეულ საწარმოში სახსრების უნარიანად გამოყენებას, ეკონომიას. ავიღოთ ვაგონების დათბუნება. განა ჩვენ ადგილზე ცოტა გამოუყენებელ რესურსებს ვიშოვნით, რომლებიც ამ საქმეში გამოგვადგება? საჭიროა მხოლოდ მათი გამოძებნა და გამოყენება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს **კადრების მომზადებას,** მათ გამოწრთობას ზამთრის პირობებში რკინიგზაზე სამუშაოდ. წელსაც გვყავს ისეთი ახალგაზრდა კადრები, რომლებსაც პირველად მოუხდებათ გაატარონ ზამთარი რკინიგზაზე. საჭიროა ისინი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ თავიანთ პირველ სერიოზულ გამოცდას ზამთარში რკინიგზაზე და გაიარონ ისეთი სკოლა, რომ შესძლონ სიძნელეების ადვილად გადალახვა. ახალგაზრდა რკინიგზელები უნდა აღვზარდოთ ჩვენი ტრანსპორტელების სახელოვან ტრადიციებზე, მათ ღრმად უნდა ჩავუნერგოთ ის აზრი, რომ სამამულო ომის ვითარებაში სოციალისტურ რკინიგზის ტრანსპორტზე თავდადებული მუშაობა პირდაპირი დახმარებაა წითელი არმიისადმი, რომელიც დიდი **სტალინის** გენიალური მხედართმთავრობით გმირულ ბრძოლას ეწევა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ და აახლოებს მტერზე ჩვენს გამარჯვებას.

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ზამთარს, უზრუნველყოთ ტრანსპორტის ყველა რგოლის ნორმალური, შეუფერხებელი, საათის კარგი მექანიზმივით ზუსტი მუშაობა, დავიცვათ გრაფიკი, წარმატებით შევასრულოთ საშემოდგომო - საზამთრო ტვირთზიდვის გეგმები — ასეთია რკინიგზელების საბრძოლო ამოცანები. როგორც ყოველთვის, მათ ეს ამოცანები ბოლშევიკურად უნდა შეასრულონ. ეს იქნება პატრიოტული ვალის მოხდა წითელი არმიის, საბჭოთა ხალხის, სოციალისტური სამშობლოს წინაშე.

წითელწყარო

წითელწყაროს რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგეს ივანე ილიას-ძე ათანელიშვილს მეღლანჭრომის კავშირის რაიაღგილკომის თავმჯდომარეს არსენ ევდოკიმეს-ძე მაჯიცინს

გთხოვთ გადასცეთ ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა წითელწყაროს რაიონის მედიცინის მუშაკებს, რომლებმაც თვითმფრინავთა ესროლილია „საქართველოს მედიცინის მუშაკის“ ასაგებად შეაგროვეს 83.281 მანეთი ფულად, 62.605 მანეთის სახელმწიფო სესხთა ობლიგაციები და 23.494 მანეთი გამოუყენებელ შვებულებათა კომპენსაციები.

ი. სტალინი

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვ. მ. მოლოტოვმა საუზმე გამართა ბ-ნ ა. იდენის პატივსაცემად

17 ოქტომბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვ. მ. მოლოტოვმა საუზმე გამართა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა ministრის ბ-ნ ა. იდენის პატივსაცემად.

საუზმეს დაესწრნენ ბ-ნი ა. იდენი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეები ა. ი. ვიშინსკი და ი. მ. მაისკი, დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ა. კ. კერი, სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ფ. ტ. გუსევი, დიდი ბრიტანეთის საელჩოს მრჩეველი ბ-ნი დ. ბალფური, მრჩეველი სსრ კავშირის საელჩოსი დიდ ბრიტანეთში ა. ა. სობოლევი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-2 ევროპული განყოფილების გამგე კ. ვ. ნოვიკოვი.

ქირურგი-ნოვატორი

მოსკოვი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). ადამიანთა კვალიფიკაციის ამაღლების თბილისის ინსტიტუტის ქირურგიის პროფესორმა დ. გ. ბაბამთავრიშვილმა დაამთავრა თვალის ბუდის ამოსვენთა მკურნალობის ახალი მეთოდების ექვსი წლის მანძილზე შესწავლის შედეგებისადმი მიძღვნილი შრომა. ავტორმა სადოქტორო დისერტაციად ეს შრომა მედიცინო მეცნიერებაში პირველად იპოვა ცოცხალი ადამიანის თვალის ბუდის სიღრმის განსაზღვრის წესი და გააკეთა დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობის დასკვნები.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მეცნიერს მედიცინის შეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიანიჭა.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

17 ოქტომბრის ოპერაციული ცნობა

17 ოქტომბრის განმავლობაში ქალაქ რიგის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს დასახლებული პუნქტები რიგას იურმალა (რიგის ზღვისპირი), სლოკა, ვალტერი, გატციემსი, შუინიასი, სილენიეკი, ზვიგული, ლიელციემსი, მურმაია და რკინიგზის სადგურები მელუეი, ასარი, სლოკა, მოწინააღმდეგისაგან მთლიანად გახშირდეს მდინარე ლიელუპეს აღმოსავლეთი ნაპირი სლოკა-ილენავის (ბიტავის) უბანზე.

ჩრდილოეთ ტრანსნილვანიაში ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც რუმინეთის ჯარებთან ერთად მოქმედებენ, ბრძოლებით დაიკავეს 80-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი და რკინიგზის სადგური ზალეუ, დიდი დასახლებული პუნქტები რუსკოლინანა, კეტროვა, ფელეუ, რონა, რონასეი, ბორცენფოლუ, სუკდოკი, როზაფალვა, ბიტიზა, კუკუშენი, მეგურენი, პრისლოკი, მესტიაკენი, კურკერეცი, კოლეტ, ჟიბოუ, ოტლელეკი, მარჯინე, მარგიტა, კირალეუ, კიშლაზი, სიკუენი, დიოსიგი და რკინიგზის სადგურები ლეოლრდინა, კეტროვა, ვიშოგბისტრა, ფელეუ, რონა, აბრამი, მარგიტა, სიკუენი, დიოსიგი.

იუგოსლავიაში ჩვენი ჯარები, რომლებიც იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებთან ერთად მოქმედებენ, ბრძოლებს ეწეოდნენ ქალაქ ბელგრადის ჩრდილოეთ ნაწილებში.

ბულგარეთის ჯარებმა, რომლებიც გერმანელების წინააღმდეგ იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებთან და ჩვენს ჯარებთან ერთად მოქმედებენ, იუგოსლავიის ტერიტორიაზე დაიკავეს ქალაქი პროკუპლე და დიდი დასახლებული პუნქტები ბელოლინი, მედვედია.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

16 ოქტომბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 48 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 73 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაციის თავდასხმები ნავსადგურ ვინდავაზე და აღმოსავლეთ პრუსიის სარკინიგზო კვანძებზე—ინსტერბურგსა, გუმბინენსა და შტალუპენენზე

16 ოქტომბერს ღამით ჩვენმა შორი მოქმედების ავიაციამ დაბომბა გერმანელთა ტრანსპორტები ვინდავის ნავსადგურში და აღმოსავლეთ პრუსიის სარკინიგზო კვანძები ინსტერბურგი, გუმბინენი და შტალუპენენი.

დაბომბვის შედეგად ვინდავის სანავსადგურო სახელოსნოების, საბაყოს რაიონში და მოწინააღმდეგის საწყობების ტერიტორიაზე დიდი ხანძრები გაჩნდა. ნავსადგურში ორი ძლიერი აფეთქება მოხდა.

სარკინიგზო კვანძ ინსტერბურგში გერმანელთა სამხედრო ეშელონებს შორის ხანძრები გაჩნდა. იწვოდა ვაგონები და პლატფორმები.

სარკინიგზო კვანძ გუმბინენის დაბომბვით გამოწვეულია 30-ზე მეტი ხანძარი. ბომბების პირდაპირი მოხვედრებით აფეთქებულია ლინდაგზე მდგომი ორი სარკინიგზო შემადგენლობა. ცეცხლში ძლიერი აფეთქებები ხდებოდა. თავდასხმის დასასრულისათვის ხანძრების დიდი რაოდენობისაგან მთელი სარკინიგზო კვანძი და ქალაქი სქელ კვამლში იყო გახვეული.

სარკინიგზო კვანძ შტალუპენენის დამიზნებით დაბომბვის შედეგად მრავალი ხანძარი გაჩნდა. აფეთქებულია ეშელონი საომარ მასალიანად. დიდი ძალის აფეთქებანი შემჩნეულია აგრეთვე სარკინიგზო კვანძის მთელ ტერიტორიაზე.

* * *

ქალაქ რიგის დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა შეუპოვარი ბრძოლის შედეგად დაიკავეს რკინიგზის სადგური მელუეი. მოწინააღმდეგე იძულებული შეიქნა სასწრაფოდ დაეხია უკან და დაეტოვებინა რამდენიმე სარკინიგზო ეშელონი ავტომანქანებიანად, სურსათიანად და სამხედრო ქონებიანად. საბჭოთა ჯარებმა, რომლებიც წინ მიიწევენ, მთლიანად გასწმინდეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან რიგის ზღვისპირი. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის ასობით გვამი. რიგის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს 15 კილომეტრით. გერმანელთა დაქსაქსული ჯგუფები მივიმწყვდიეთ მდინარე ლიელუპესთან და მოვსპეთ. ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს გერმანელთა 4 ტანკი, 30 ქვემეხი, 20 ნაღმსატყორცნი და საომარი მასალის სამი საწყობი. ტყვედ წამოყვანილია 500 გერმანელი.

* * *

ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. ქალაქ ბისტრიცის ჩრდილოეთით ნ შენაერთის ნაწილები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ მდინარეების ვიშოსა და იზის გასწვრივ. მოწინააღმდეგე განდევნილია მთელი რიგი დასახლებული პუნქტებიდან, დაკავებულია აგრეთვე რკინიგზის სადგური ფელშორნა, რომელიც ჩეხოსლოვაკიისა და ჩრდილოეთ ტრანსილვანიის საზღვრიდან 5 კილომეტრზე მდებარეობს. შემოვლითი მანევრებით ჩვენმა ჯარებმა ჩიფუშეს გერმანელთა და უნგრელთა ცდები გამაგრებულიყვნენ მაღლობებზე. საბჭოთა მებრძოლები მტრის ზურგში იჭრებიან და უეცარი დარტყმებით ანადგურებენ მის თავდაცვის კვანძებს. ერთ რაიონში ჩვენი მეავტომატეების რაზმმა იერიში მიიტანა მთაზე გამაგრებულ ჰიტლერელთა წინააღმდეგ. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა წინააღმდეგობა შესწყვიტეს და ტყვედ დაგვნებდნენ. ქალაქ ბისტრიცის დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც რუმინეთის ჯარებთან ერთად მოქმედებენ, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური ზალეუ. ქალაქისათვის ბრძოლაში მოსპობილია მტრის 600-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. დღის განმავლობაში სხვადასხვა უბნებზე ტყვედ წამოყვანილია 1.000-მდე გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ჩვენი ჯარები, რომლებიც იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებთან ერთად მოქმედებენ, განაგრძობდნენ ბრძოლებს იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადისათვის. მოწინააღმდეგემ ბელგრადი თავდაცვის მძლავრ კვანძად გადააქცია. ქალაქის მისადგომებზე და მის ქუჩებში ჰიტლერელებმა ააგეს მრავალი ძელმწყური საცეცხლე წერტი და ხანგრძლივი საცეცხლე წერტი, მოაწყეს ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო დაბრკოლებანი. ჩვენმა ჯარებმა მტერს მძიმე დამარცხება მიაყენეს ბელგრადის მიდამოებში და ქალაქის გარეუბნებში შეიჭრნენ. ქუჩებში გაჩაღდა გაფთრებული ბრძოლები. საბჭოთა და იუგოსლავიელთა ნაწილები მედგრად მიიწევენ წინ. დღეს ბრძოლებმა ქალაქის ცენტრში გადაინაცვლა. ჰიტლერელები განდევნილი არიან მდინარე სავასთან მდებარე ვაგზლის რაიონიდან. ჩვენი ნაწილები აგრეთვე გაიჭრნენ ქალაქის რჩილოეთ ნაწილში, დაიკავეს ნავსადგური და რკინიგზის ვაგზალი მდინარე დუნაისთან. ბრძოლების მსვლელობაში მოწინააღმდეგეს უდიდესი ზარალი მოსდის. წინასწარი ცნობებით, ორი დღის განმავლობაში მოსპობილია 4 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ დიდძალი დაკლა და მრავალი ტყვე.

* * *

ბულგარეთის ჯარებმა, რომლებიც გერმანელების წინააღმდეგ იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებთან და ჩვენს ჯარებთან ერთად მოქმედებენ, დაახლოებით 20 კილომეტრით წაიწიეს წინ და მოწინააღმდეგე ქალაქ პროკუპლედან განდევნეს. ბულგარეთის ჯარებმა, რომლებიც წარმატებს ავითარებენ, დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტი ბელოლინი. მტრის გარნიზონი დასახლებულ პუნქტ მედვედიაში ლიკვიდირებულია. ტყვედ წამოყვანილია 1.000-ზე მეტი ჰიტლერელი.

* * *

ბელორუსიის მეორე ფრონტზე მფრინავმა-გამანადგურებლებმა მაიორ არბატოვის მეთაურობით დღის განმავლობაში თხუთმეტი საჰაერო ბრძოლა ჰაატარეს და მოწინააღმდეგის 11 თვითმფრინავი ჩამოაგდეს. უფროსმა ლეიტენანტმა კლიმენკომ ჩამოაგდო გერმანელთა ორი თვითმფრინავი. ლეიტენანტმა ჩუდოვმა—სამი თვითმფრინავი და კაპიტანმა კლემანოვმა—ერთი თვითმფრინავი. ერთ-ერთ წინა დღეს კაპიტანმა კლემანოვმა გერმანელთა ოთხი ავიაგამანადგურებელი ჩამოაგდო.

* * *

ჩრდილოეთის ფლოტის ავიაციამ ვარანგერ-ფიორდში ჩასძირა მოწინააღმდეგის სწრაფმავალი სადესანტო კარჭაპი და ორი კატერი.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის მფრინავებმა ბალტიის ზღვაში ჩასძირეს გერმანელთა ტრანსპორტი 8.000 ტონა წყალწყვილა.

მდგომარეობა უნგრეთში

ჩერნოვიცი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). ბუდაპეშტის რადიოს ცნობების მიხედვით, პოლიტიკური ამბები, რაც უნგრეთში გუშინ დაიწყო, უფრო და უფრო მწვავდება. მაგრამ მიღებული ცნობები ამის საშუალებას არ იძლევა, რომ ზუსტი დასკვნა გამოვიტანოთ უნგრეთის საერთო ვითარების შესახებ.

უნგრელმა ჰიტლერელებმა, რომელთაც ფერენცი სალაში მეთაურობს, ხელთ იგდეს ბუდაპეშტის რადიოსადგური და თავიანთ მოწოდებებსა და ბრძანებებს გადასცემენ. რადიომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ სალაშიმ თავისი საკუთარი მთავრობა შეჰქმნა. ამავე დროს ბუდაპეშტის რადიოს ცნობები ცხადჰყოფენ, რომ სალაშის პროჰიტლერული „მთავრობის“ ძალაუფლება მეტად მცირეა, რომ მას უაღრესად ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ ჰორტისა და მისი მთავრობის მომხრეები, აგრეთვე ხალხის ფართო მასები. ბუდაპეშტში მიმდინარეობს გაფიცვა, რომელიც მიმართულია უნგრეთის ახლადმოვლენილ მმართველთა წინააღმდეგ. ბუდაპეშტის პოლიციის უფროსმა რადიოთი ბრძანება გამოაქვეყნა, რომელიც მუშა-მოსამსახურეთაგან მოითხოვს დაუბრუნდნენ სამუშაო ადგილს და „კეთილსინდისიერად იმუშაონ“. ბრძანება ითუქრება, გაფიცვის განგრძობას „სასტიკი სასჯელი მოჰყვებაო“.

ბუდაპეშტის პოლიციის შეფის სხვა განკარგულება მოწმობს, რომ დედაქალაქის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვას მხარს უჭერენ სავაჭრო საწარმო-დაწესებულებათა მეპატრონეები. „ყველა მაღაზიის მეპატრონე, — ნათქვამია განკარგულებაში, — ჰოვალეა დაუყოვნებლივ შეუდგეს ვაჭრობას. ამ განკარგულების დამრღვევნი სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი“.

ადმინისტრაციულ განკარგულებათა გამოსაქვეყნებლად რადიოგადაცემათა გაძლიერებული გამოყენება გეფიქრებინებს, რომ სალაშის და მის თანაშემწეთ არ მოეპოვებათ ან ცოტა აქვთ მოსახლეობასთან კავშირის სხვა საშუალებანი.

სალაშის მთავრობის მიმართ მტრული გამოსვლები, გარდა ბუდაპეშტისა, უნგრეთის სხვა რაიონებშიც ხდება. კერძოდ, ეს სჩანს „ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კარპატების სამხედრო ზონის სახელმწიფო კომისრის“ ბრძანებიდან, რომელიც გადაცემულ იქნა რადიოთი. ბრძანებით აკრძალულია ქუჩებში და საზოგადოებრივ ადგილებში 3 კაცზე მეტის თავმოყრა. მოსახლეობას ნაბრძანები აქვს საღამოს 8 საათიდან დილის 6 საათამდე არ გამოვიდეს ბინიდან. ამ დროს ყველა სახლის ჭიშკარი დაკეტილი უნდა იყოს.

ბრძანებაში ნათქვამია, რომ „იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც სიმშვიდეს არ დაიცავენ და ისე არ მოიქცევიან, როგორც ესოდენ სერიოზულ მომენტს შეეფერება, გამოყენებული იქნება იარაღი“.

არავითარი ცნობა არ არის, თუ ამჟამად სად იმყოფება ჰორტი.

ჩერნოვიცი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). ბუდაპეშტის რადიოს ცნობის თანახმად, უნგრელ ჰიტლერელთა ლიდერ ფერენცი სალაშის მიერ შექმნილ მთავრობაში შედიან: პრემიერ-მინისტრის მოადგილე ენე სელში, საგარეო საქმეთა მინისტრი — ბარონი გაბორ კემენი, შინაგან საქმეთა მინისტრი — გაბორ ვაინი, მიწათმოქმედების მინისტრი — გრაფი ფიდელ პალფი, თავდაცვის მინისტრი და გენერალური შტაბის უფროსი — გენერალი კაროლ ბერეცკი და სხვ.

სალაშიმ ბუდაპეშტის რადიოთი გამოაცხადა, რომ მან დროებით იკისრა რეგენტის უფლებამოსილება. მალე ამის შემდეგ სალაშიმ განაცხადა, რომ მან შეჰქმნა სარეგენტო საბჭო, რომელშიც შევიდნენ გენერალ-პოლკოვნიკი კაროლ ბერეცკი, ფერენც რაინიში და შანდორ ჩია.

ჩერნოვიცი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). ბუდაპეშტიდან მიღებულ უკანასკნელ რადიოგადაცემებს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ სალაშის ეგრეთწოდებული „მთავრობის“ მდგომარეობა მტკიცე არ არის. როგორც ეტყობა, სალაშის „მთავრობა“ საჭირო გავლენით ვერ სარგებლობს; ამიტომ იყენებს მის ხელში მყოფ რადიომაუწყებლობას და თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად აშკარა ფალსიფიკაციასა და სიყალბეს მიმართავს. დღეს დაახლოებით შუაღამისას ბუდაპეშტის რადიომ გადასცა განცხადება, რომელსაც ჰორტის მიაწერენ და რომელშიც ჰორტი თითქოს უარს ამბობს მის მიერ გუშინ გამოქვეყნებულ სარეგენტო მიმართვაზე.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება საეჭვო არ იყოს გენერალ ვერეშის იმ ბრძანების სინამდვილეც, რომელიც გუშინ ბუდაპეშტის რადიომ გადასცა ბრძოლის განგრძობის შესახებ.

ჯულის ოღქის კოლმეურნეთა ვალდებულებანი

ჯულის ოლქის კოლმეურნეობები კისრულობენ 20 ოქტომბრისათვის დაამთავრონ პურის ჩაბარება და არა უგვიანეს 1 ნოემბრისა გეგმის გადამეტებით წითელი არმიის ფონდში შეიჯანონ 400 ათასი ფუთი პური

[illegible]

აღმაფრთოვანებელ დღეებს განიცდის ჩვენი სამშობლო. ყოველდღე მოგვდის სასიხარულო ამბები ფრონტიდან. დიდი მხედართმთავრის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი გმირი წითელი არმია გერმანელ ფაშისტს დამპყრობთაგან ათავისუფლებს საბჭოთა მიწა-წყლის უკანასკნელ კილომეტრებს და სულ უფრო და უფრო შორს მიიწევს დასავლეთისაკენ.

წითელი არმიის დიადი გამარჯვებებითა და ფრონტისადმი დახმარების ყოველმხრივი გაძლიერების შესახებ სტალინური მოწოდებით აღფრთოვანებულნი, ჩვენ დაუღალავად ვშრომობთ საკოლმეურნეო მინდვრებზე განთიადიდან დაღამებამდე.

წელს ტულის ოლქის კოლმეურნეობებმა ორგანიზებულად, შემჭიდროებულ ვადებში და მაღალი აგროტექნიკური დონით ჩაატარეს სვაზოფხულო თესვა და წარმატებით ამთავრებენ უხვი მოსავლის აღებას, ვადამდე ასრულებენ პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმას. ოლქის ორი ათასზე მეტმა კოლმეურნეობამ ვადამდე შეასრულა პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა. პურის ჩაბარება ოლქში პირველებმა დაამთავრეს ბოლობოეოს, შჩოკინოს, ბელევის, ჩეკალინსკის, კოსაია გორას, ვენევის, მორდვესის, ხანინოს, ალექსინისა და ივანკოვოს რაიონების კოლმეურნეობებმა. 10 ოქტომბრისათვის პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა ოლქში შესრულებულია 89 პროცენტით.

ჩვენი პირველი მოვალეობაა შეუფერხებლად ვამარაგოთ სურსათით ჩვენი ქვეყანა და ფრონტი. ყოველი ფუთი პური მტრისათვის მიყენებული დარტყმაა, რაც უფრო მეტია პური, მით უფრო ახლოა გამარჯვება.

ვაჩაღებთ რა სოციალისტურ შეჯიბრებას პურის ჩაბარების ვადამდე შესრულებისა და გეგმის გადამეტებით [illegible] ოლქის კოლმეურნეობები, გკისრულობთ:

1. 20 ოქტომბრისათვის მთლიანად შეასრულოთ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა.

2. არა უგვიანეს 1 ნოემბრისა გეგმის გადამეტებით წითელი არმიის პურის ფონდში შეიტანოთ 400 ათასი ფუთი პური.

ჩვენი ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, გარშემო, ჩვენი დიდი ბელადისა და მხედართმთავრის, უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის გარშემო დარაზმულნა, წარმატებით დავამთავრებთ 1944 წლის ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს, ვადამდე შეასრულებთ სახელმწიფოს წინაშე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ყველა სახის დამზადებათა ვალდებულებებს.

მოვუწოდებთ საბჭოთა კავშირის ყველა კოლმეურნეს ვადამდე შეასრულონ პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა და ეაორეულად აქტიური მონაწილეობა მიიღონ გეგმის გადამეტებით წითელი არმიის ფონდში პურის ჩაბარებაში.

დიდი ოქტომბრის XXVII წლისთავს შეეგებდეთ ახალი გამარჯვებებით ფრონტზე და ზურგში.

გაუმარჯოს გმირ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს მას, ვისაც მივუძღვართ საბოლოო გამარჯვებისაკენ, მშობლიურ და დიდ ამხანაგ სტალინს!

(ვალდებულებანი განხილული და მიღებულია ოლქის კოლმეურნეობებში გამართულ კრებებზე).

კალინინის ოლქის კოლმეურნეობანი კისრულობენ 25 ოქტომბრისათვის შეასრულონ პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა და 5 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით წითელი არმიის ფონდში შეიჯანონ 1 მილიონი ფუთი პური

კალინინის ოლქის კოლმეურნეთა ვალდებულებანი

სახელოვანი გამარჯვებებით ეგებება საბჭოთა ხალხი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავს.

ჩვენი გმირი წითელი არმია ამთავრებს წმიდათა-წმიდა საბჭოთა მიწა-წყლის გაწმენდას გერმანელი დამპყრობლებისაგან. ახლა საძულველ მტერზე ჩვენი სრული გამარჯვების ჟამი.

მთელი საბჭოთა ხალხი ერთი მისწრაფებით იხოვრობს — ყოველნაირად გაძლიეროს თავისი ღონისძიებანი ბრძოლაში, რათა მალე მოსპოს ფაშისტი ბეჩეი მისანაგი ბუნაგში. კალინინის ოლქის კოლმეურნეები თავდადებით შრომობდნენ თავიანთ ყანებში საგაზაფხულო თესვისა და მოსავლის აღების პერიოდში. საბჭოთა მთავრობამ აღნიშნა ჩვენი შრომა და ჩვენს ოლქს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წითელი დროშა მიანიჭა საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის.

ამჟამად ჩვენი ოლქის კოლმეურნეობანი წარმატებით ამთავრებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს. ბევრმა კოლმეურნეობამ ვადამდე შეასრულა პურის ჩაბარების გეგმა და გეგმის გადამეტებით წითელი არმიის ფონდში შეაქვს პური.

ჩვენ ვისწრაფვით გავაძლიეროთ დახმარება მშობლიური წითელი არმიისადმი ომის გადამწყვეტ პერიოდში და ვალდებულებას ვკისრულობთ: ყველა კოლმეურნეობის მიერ პურის ჩაბარების გეგმა შეასრულოთ 25 ოქტომბრისათვის და გეგმის გადამეტებით წითელ არმიის ფონდში 5 ნოემბრისათვის შევიტანოთ 1 მილიონი ფუთი პური.

გაუმარჯოს ჩვენს გმირ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადს, დიდ მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს!

(ვალდებულებანი განხილული და მიღებულია კალინინის ოლქის კოლმეურნეობათა

პარტიული ცხოვრება

გავაძლიეროთ პარტიული პროპაგანდა და აგიტაცია

სოხუმი („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). ჩატარდა რესპუბლიკური თათბირი პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის საკითხებზე. თათბირს ესწრებოდნენ ქალაქკომებისა და რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეები, პარტკაბინეტების გამგეები, პროპაგანდისტები, საოლქო და რაიონული პრესის და რადიოგადაცემის მუშაკები.

თათბირი მიზნად ისახავდა პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის დარგში აღგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მიერ დაგროვებული გამოცდილების ურთიერთგაზიარებას.

მოსმენილ იქნა პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების მოხსენებები. საქართველოს კ. პ. (ბ) სოხუმის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ა. ქურდიანმა აღნიშნა, რომ ქალაქის საწარმოებში, ფაბრიკა-ქარხნებსა და საბჭოთა დაწესებულებებში ბოლშევიკურ აგიტაციას ეწევა 500-მდე აგიტატორი. განსაკუთრებით კარგად მოაწყეს აგიტაცია საკონსერვო ქარხნის აგიტატორებმა. აქ უზრუნველჰყვეს ყოველდღიურად შესვენების საათებში მოკლე საგიტაციო საუბრების ჩატარება. ქარხნის აგიტატორები გამოვიდნენ საოქტომბრო შეჯიბრების ინიციატორებად. მათ გააჩაღეს შეჯიბრება საამქროებსა და ბრიგადებში. სექტემბრის გეგმა ქარხანაში დიდი გადამეტებით შესრულდა. ასევე წარმატებით სრულდება ოქტომბრის საწარმოო დავალებაც.

საქართველოს კ. პ. (ბ) ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ვ. ტუტბამ აღნიშნა, რომ მეშახტე ბოლშევიკები დიდი ინტერესით სწავლობენ ამხანაგ სტალინის წიგნს—„საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“. 786 კაცი დამოუკიდებლად სწავლობს ბელადის წიგნს. ამხანაგ სტალინის წიგნის შემსწავლელმა 21 წრემ უკვე დაამთავრა მუშაობა. ამხ. ტუტა შეჩერდა მეშახტეთა საერთო საცხოვრებლებში ბოლშევიკური აგიტაციის მოწყობის პრაქტიკულ საკითხებზე და აღნიშნა, რომ ამ მხრივ განსაკუთრებით თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო აგიტატორ ქალთა მუშაობამ.

ამხ. კ. ლოლაძემ (საქართველოს კ. პ. (ბ) გაგრის რაიკომი) ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ უკავშირებენ ბოლშევიკურ აგიტაციას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით ჩატარებას. კერძოდ, მან დაახასიათა გაგრის რაიონის სოფელ განთიადის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის აგიტკოლექტივის მუშაობა. ეს აგიტკოლექტივი სანიმუშოა მთელს რაიონში. აქ თვითეულ ბრიგადაში აგიტატორი ყოველდღიურად ატარებს საუბარს ახალ საინტერესო თემებზე.

ამხ. პ. მანიამ (სოხუმის რაიკომი) გააკრიტიკა კინოფიკაციის აფხაზეთის სამმართველოს მუშაობა და აღნიშნა, რომ რაიონის კოლმეურნეობებში აშვიათად უჩვენებენ ახალ ჟინოსურათებს.

ოჩამჩირისა და გალის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებების გამგეებმა ამხ. ს. აქუბარდიამ და შ. ჩქოტუამ ილაპარაკეს აგიტატორების თეორიული დონის ასამაღლებლად წარმოებულ მუშაობაზე. გალის რაიონში 560 აგიტატორი მუშაობს. მათ დიდ უმრავლესობას სწავლება სჭირდება. ამ მიზნით თვეში ორჯერ იმართება სემინარები. ეწყობა ლექციები თეორიულ საკითხებზე, საგიტაციო მუშაობის მეთოდებზე.

ვალისა და გუდაუთის რაიონული გაზეთების რედაქტორებმა ამხ. ა. გვახარიამ და ე. ავიძბამ თათბირის მონაწილეებს უამბეს იმის შესახებ, თუ როგორ ეხმარება პარტიულ ორგანიზაციებს რაიონული პრესა პროპაგანდისა და აგიტაციის დაყენებაში.

ქამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ვ. ხუბულავამ, რადიოკომიტეტის რწმუნებულმა თ. გოგოხიამ, სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა კილანგამ, სტალინის სახელობის სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა თოფურიამ და სხვ.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. ი. ტუსკაძემ.

თათბირმა დასახა სათანადო ღონისძიებანი საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

გ. მერკვილაძე

მოწინავე აგიტაპროპაგანდისტები

მახარაძე („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). სამამულო ომის დღეებში აგიტატორებმა მდიდარი გამოცდილება დაგროვეს. სოფლად მომუშავე აგიტატორები უმრავლესობა საფუძვლიანად დაეუფლა აგიტაციის ხელოვნებას და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს.

სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ყველა ბრიგადაში არის აგიტატორი. ისინი თავიანთ ყოველდღიურ მუშაობას მჭიდროდ უკავშირებენ კოლმეურნეობის ამოცანებს და რაზმავენ მშრომელებს დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. წელს ჩაის კრეფის ცხარე დღეებში კოლმეურნეობის გამგეობამ მოწონავე მკრეფავებისათვის გარდამავალი წითელი დროშა დააწესა. აგიტატორების თაოსნობით ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. ყოველდღე, საღამოს მუშაობის შედეგების გამორკვევის შემდეგ, ხდება გარდამავალი დროშის გადაცემა ამ კოლმეურნისათვის, რომელიც მოკრეფა ყველაზე მეტი და მაღალხარისხიანი ჩაი. ამან გააძლიერა კოლმეურნეთა დაინტერესება და გაზარდა შრომის ნაყოფიერება. აგიტატორები ე. ცერცვაძე, მ. ტაკიძე, მ. წითლიძე და სხვები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მოწონავე კოლმეურნეთა მუშაობის მეთოდების ფართოდ დანერგვას. მათი დაუღალავი მუშაობის შედეგად ახლა კოლმეურნეობის ყველა წევრმა იცის კოლმეურნეების ამხ. ს. ვაჩეიშვილის, ნ. ბაქანიძის და კ. კვაჭანტირაძის მუშაობის ხერხები, იცის, თუ როგორ მიაღწიეს მათ ციტრუსების მოსავლის გადიდებას, იცის, თუ რა გზით გადიდა ჩაის მოსავალი წარჩინებულმა მერგოლურმა სოფიო ღელეყვამ, როგორ უვლიდნენ მათზე მიმაგრებულ პლანტაციას მკრეფავები შურა კვაჭანტირაძე, ლიუდი ხურციძე და სხვები. კოლმეურნეები იყენებენ მოწინავეთა გამოცდილებას ყოველდღიურ მუშაობაში. ამის შედეგია, რომ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობა ყველა დავალებას წარმატებით ასრულებს და გარდამავალი დროშა მოიპოვა.

აგიტატორები ხშირად უკითხავენ კოლმეურნეებს წითელი არმიის გმირული ბრძოლას ეპიზოდებს, უყვებიან ფრონტზე მყოფ თანასოფლელთა საგმირო საქმეებს, რაც აღაფრთოვანებს კოლმეურნეებს შრომითი წარმატებისათვის. სოფელ კონკკათის კოლმეურნეობის ყოფილი ბრიგადირი სანდრო ჩანჩიბაძე ეერმანეულ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დიდების ორდენით დაჯილდოდა. კოლმეურნეობაში მოვდა ფრონტული გაზეთი, სადაც აღწერილი იყო ამხ. ს. ჩანჩიბაძის სახელოვანი ბრძოლები. აგიტატორმა, მასწავლებელმა ნიკა მეკვიამ ეს გაზეთი გამოიყენა ერთ-ერთი საუბრის დროს, შემდეგ მისი ხელმძღვანელობით გამოშვებულ იქნა სველი გაზეთი, რომელშიც მოთავსებული იყო მასალები იმის შესახებ, თუ რა ვალდებულებას კისრულობენ კოლმეურნეები თანასოფლელის დაჯილდოების პასუხად. ამას კარგი შედეგი მოჰყვა. ის ბრიგადა, რომელსაც წინათ მებრძოლი ჩანჩიბაძე ხელმძღვანელობდა, სტახანოვურად მუშაობს, ბრიგადის ყველა წევრი ერთსულოვნად გამოდის სამუშაოზე. მეუმრის თავდადებით მუშაობენ აქ კოლმეურნეები ლოლა ჩანჩიბაძე, შურა კვაჭანტირაძე, სამსონ ჩანჩიბაძე, ოლია ჩხაიძე, იპოლიტე მეკვია და სხვ.

საგიტაციო მუშაობას კარგად ხელმძღვანელობს სოფელ დაბაზუს კ. ნ. ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ამხ. კ. შარაშიძე). აქ პარტიულ კრებაზე სისტემატურად იხილავენ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებს, ისმენენ აგიტატორების მოხსენებებს და სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს. აგიტატორებად შერჩეული არიან კოლმეურნეები, რომელნიც სტახანოვური შრომის მაგალითს იძლევიან. მაგალითად, აგიტატორები შ. ღლონტი, შ. ოთხმეზური და მ. ღლონტი კოლმეურნეებთან მხარდამხარ მუშაობენ და მუდამ გადაჭარბებით ასრულებენ დავალებებს.

კოლმეურნეობამ გასულ თვეში შეჯიბრებაში გაიმარჯვა და რაიონული გარდამავალი დროშა მოიპოვა. აქ ვადაზე ადრე შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური დავალება. მთელ ამ მუშაობაში აგიტატორებს საპატიო წილი უძევთ.

ლ. ლოლაძე

გადაცემა მედღისა „კავკასიის დაცვისათვის“

ჭიათურა („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). 15 ოქტომბერს მედალი „კავკასიის დაცვისათვის“ გადაეცა მარგანეცის მრეწველობის წარჩინებულ ადამიანებს.

მედლის გადაცემისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება, რომელიც ჭიათურის თეატრში შესდგა, გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. სხილაძემ. დაჯილდოებულთ მედლები გადასცა მშრომელთა დეპუტატების ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ვ. კაპანაძემ.

პირველმა მედალი „კავკასიის დაცვისათვის“ მიიღო მექანიკური სახელოსნოს მჭედელმა მელიტონ აბაშიძემ, შემდეგ ტრესტის მმართველმა ამხ. გ. ანდღულაძემ, სტახანოველებმა ი. კაპანაძემ, კ. ღავთაძემ, პ. ბარბაძემ, ო. გოგოლაშვილმა, გ. ჩუბინიძემ, ინჟინერმა შ. შეყლაშვილმა, ე. გაფრინდაშვილმა, გ. ასათიანმა, გ. შანიძემ, შ. დუმბაძემ, ლ. გავაშელმა, გ. ბერიშვილმა. მედლები გადაეცა სულ 213 კაცს.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვებით გამოვიდნენ უბნის გამგე ლენინის ორდენოსანი ტრიფონ ფოფხაძე, საამქროს უფროსი სამსონ რუხაძე, ინჟინერი ევგენი გაფრინდაშვილი და სტახანოველები: ი. კაპანაძე, ა. რიჟამაძე, ა. გურული. მათ ახალი საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს.

პ. ჭიოკაძე

* * *

მცხეთა („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). მედლების „კავკასიის დაცვისათვის“ გადაცემისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) მცხეთის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. ქართველიშვილმა. მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. მელიქიშვილმა მედლები „კავკასიის დაცვისათვის“ გადასცა რაიონის მოწინავე ადამიანებს.

მედლები გადაეცათ ასანთის ფაბრიკის სტახანოველებს, ბაგრატ ბრეგოვს, ვლ. ჭოხონელიძეს, მოსე ორთანეზოვს და სხვ., რომლებიც სპეციალურ დავალებებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებდნენ. ასანთის ფაბრიკის დირექტორს ამხ. გ. მაცაბერიძეს, მოწინავე კოლმეურნეობათა მედალოსან თავმჯდომარეებს ვლ. ახალაძეს და ნაქაიძეს, ახალგაზრდა კოლმეურნეებს ეთერ ამერლიშვილს და გიორგი სურამელაშვილს, ექვსი ფრონტელის მამას ალ. ნაქაიძეს, მუხრანის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ჩუგუაშვილს და სხვ.

მედალი მიიღო სულ 149 კაცმა.

დაჯილდოებულთა სახელით მგზნებარე პატრიოტული სიტყვები წარმოსთქვეს ასანთის ფაბრიკის დირექტორმა ამხ. მაცაბერიძემ, ნინბისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ქსოვრელმა, მცხეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. სოხაშვილმა და სხვ., რომლებმაც იკისრეს კონკრეტული ვალდებულებები ომიდან უფრო უკეთ იმუშაონ და მეტად დაეხმარონ გმირ წითელ არმიას ვერაგი მტრის საბოლოოდ განადგურებაში.

ა. ძირია

როგორ ემზადებიან ზამთრისათვის საქართველოს რკინიგზელები

ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველოს ცნობების მიხედვით რკინიგზის საქართველოს უბნებზე ზამთრის სეზონისათვის მზადება ასეთ სურათს იძლევა:

საორთქლმავლო სამსახურის ხაზით ზამთრისათვის მზადების საქმეაოები ყველაზე ადრე და წარმატებით შესრულეს სამტრედიაში (საორთქლმავლო დეპოს უფროსი წევის დარგის პოდპოლკოვნიკი ამხ. ე. ცხვარაძე). აქ უკვე დათბუნებულია ყველა ორთქლმავალი და საორთქლმავლო პარკი სავსებით მზა მდგომარეობაშია.

კარგად მუშაობენ აგრეთვე ბათუმის საორთქლმავლო დეპოში.

ჩამორჩნენ ხაშურელები, რომლებმაც ორთქლმავლების ზამთრისათვის მომზადების დავალება 70 პროცენტით შეასრულეს.

ზოგიერთი მასალის (სახურავი, თუნუქი, ფანჯრის მინა, ბამბა და სხვ.) თავის დროზე მოუმარაგებლობის შედეგად დავალება თბილისის საორთქლმავლო დეპოსაც არ შეუსრულებია. დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ეს სამუშაოები საორთქლმავლო დეპოებმა ზამთრის სიცივეების დადგომამდე დაამთავრონ.

მეორე საკომპლექსო ბრიგადა ერთ-ერთი მოწინავეა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში. ამ ბრიგადამ საოქტომბრო შეჯიბრების განმავლობაში იკისრა გეგმის გადამეტებით ერთი ორთქლმავლის გამოშვება. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ) ბრიგადირი ა. მკერვალიშვილი, შ. ცხვედაძე, ვ. გვილავა და ი. მამუჩაშვილი. ფოტო რ. აკოფოვისა

ვაგონების მომზადებას ზამთრისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებს ორი ძირითადი სამუშაოს შესრულება აკისრიათ: წესრიგში მოიყვანონ ავტომატური მუხრუჭები და ბუქსსაცხები მეურნეობა.

ზამთრის სეზონში ვაგონების ბუქსებისათვის განსაკუთრებული თვისების სცხებს ხმარობენ. ამ საცხების სათანადო რაოდენობით მომარაგება, მისი შენახვა და ბუქსების ახალი საცხებით გამართვა სიცივეების დადგომამდე უნდა დამთავრდეს. ქუთაისისა და ოჩამჩირის სადგურების გარდა, ამ დარგში მზადება ყველგან დამთავრებულია.

ავტომატური მუხრუჭების ზამთრისათვის მომზადებაში დაწინაურდა ბათუმის სავაგონო უბნის კოლექტივი (უფროსი ამხ. მ. ფირცხალავა, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ორაგველიძე). სექტემბრის ბოლო რიცხვებისათვის აქ სავსებით დაამთავრეს საკონტროლო პუნქტების მოწყობა, საჰაერო ქსელის გასწორება და ყველა სხვა სამუშაო.

ჩამორჩენილია მეოთხე სავაგონო უბანი (უფროსი ამხ. გ. ჯოლოკავა, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. კოკოევი).

სავაგონო სამსახურის მთელი კოლექტივის გადაუდებელი ამოცანაა დროულად დაამთავროს სამგზავრო ვაგონების დათბუნება, ვაგონის ფანჯრებში მინების ჩასმა, წესრიგში მოიყვანოს საჰაერო ქსელი, ზამთრის სეზონისათვის მოამზადოს ტრანსპორტზე სამუშაოდ ახალმოსულნი და ყველგან შეჰქმნას ბუქსსაცხების მარაგი.

სალიანდაგო მეურნეობის ზამთრის სეზონისათვის მოსამზადებლად აუცილებელია თოვლსაწმენდების შეკეთება, ფარების დამზადება იმ უბნებზე გასაკეთებლად, სადაც საჭიროა ლიანდაგის დაცვა ნამქერისაგან, პალოების საქმაო რაოდენობით დამზადება და ადგილზე მიტანა, დროებითი მუშახელის მიმაგრება რკინიგზის უბნებზე ზამთრის მთელი პერიოდისათვის და სხვ.

ამ სამუშაოთა მეტი ნაწილი უკვე შესრულებულია. თოვლსაცავი ფარებით მომარაგებულია ყველა დისტანცია, თოვლსაწმენდები ყველგან შეკეთებულია. დამთავრებულია რკინიგზის მახლობელი სოფლებიდან კოლმეურნეების მიმაგრება უბნებზე ზამთრის სეზონისათვის. შესრულებულია ავრეთვე გადამყვანი ისრების ღორღზე დაყენების წლიური გეგმა, რასაც უარღესად დიდი მნიშვნელობა აქვს ზამთარში რკინიგზის ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობისათვის.

დაწყებულია და მთელ ხაზზე წარმატებით მიმდინარეობს ლიანდაგის მრუდეების (მოსახვევების) გამაგრება, რაც ზამთრის განმავლობაში აგვაცდენს მოსახვევებში ლიანდაგის დეფორმაციის შესაძლებლობას.

ახლო ხანში რკინიგზის სხვადასხვა უბნებზე მოხდება საზამთრო ინვენტარისა და მოწყობილობის (თოვლსაწმენდების) გამოცდა და უბნებზე მიმაგრებული მოსახლეობის საცდელი გამოძახება.

სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის ზამთარში შეუფერხებელი მუშაობისათვის საჭიროა ბოძების, მავთულის, იზოლატორების მომარაგება, სარემონტო ინსტრუმენტების გამზადება და წინასწარ გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოების დროულად შესრულება.

ამ მხრივ რკინიგზის საქართველოს დისტანციებს შორის დაწინაურდა სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის სამტრედიის დისტანციის კოლექტივი (უფროსი ამხ. შველაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. შაშიაშვილი). ოთხი თვეა მას ხელთ უპყრია ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშა. ზამთრისათვის მზადება სამტრედიელებმა სექტემბერშივე დაამთავრეს.

კარგად მუშაობენ აგრეთვე ხაშურისა და თბილისის დისტანციების კოლექტივები, რომლებიც ზამთრისათვის მზადებას ამ დღეებში დაამთავრებენ.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე

შესდგა თბილისის საორთქლმავლო დეპოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი, რომელაც განიხილა ზამთრის სეზონისათვის მზადებასთან დაკავშირებული საკითხები. მოხსენებით გამოვიდა დეპოს უფროსი, წევის დარგის პოდპოლკოვნიკი ამხ. ი. ნუცუბიძე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თბილისის საორთქლმავლო დეპომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში მნიშვნელოვნად გარდაჰქმნა მუშაობა. ზამთრის სეზონისათვის მზადების დეპოს კოლექტივი კარგა ხანია შეუდგა. მთელი რიგი სამუშაოები უკვე შესრულებულია, მაგრამ მთავარი მაჩვენებლის მიხედვით დეპოელები ჯერ კიდევ ჩამორჩებიან. ზამთრის სეზონისათვის ორთქლმავლების დათბუნების დავალება — შესრულებულია მხოლოდ 30 პროცენტით. გვაქვს საწვავის გადახარჯვა, არის შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები და სხვ. ეს ნაკლოვანებები უმოკლეს ვადაში უნდა გამოსწორდეს.

კამათში გამოსულმა ზეინკალმა მ. ზედელაშვილმა გააკრიტიკა რემონტის დაგვიანებით და ცუდად შემსრულებლები. მან აღნიშნა, რომ ორთქლმავლის რემონტის დაგვიანების მთავარ მიზეზს წარმოადგენს სათანადო ნაწილების უქონლობა და საკუთარი ძალებით დამზადებული საორთქლმავლო დეტალების ცუდი ხარისხი.

— დეტალის დაბალი ხარისხი, — სთქვა ოსტატმა ამხ. ნ. ლეკავამ,—ძირითადად დამამზადებელთა ერთი ნაწილის დაბალი კვალიფიკაციით არის გამოწვეული. ამიტომ დეპოს ხელმძღვანელობამ სადღეისო საბრძოლო ამოცანად უნდა დაისახოს კვალიფიციური კადრების მომზადების დაჩქარება.

ორთქლმავლის მემანქანემ ამხ. ვ. სოხაძემ აქტივის ყურადღება მიაქცია შრომის განაწილების საკითხებს და აღნიშნა, რომ თბილისის საორთქლმავლო დეპოში კვალიფიციურ მუშებს სისტემატურად უხდებათ სხვა სამუშაოს შესრულება. ინჟინერი ნ. შანიძე შეჩერდა თბილისის საორთქლმავლო დეპოში დამზადებული ორთქლმავლის ნაწილების ხარისხზე და განაცხადა, რომ უვარგისი ნაწილების დამზადება ხელსაწყო-იარაღების უვარგისობითაც არის გამოწვეული. გამომჭრელი და საზომი ხელსაწყოებიც დიდი რაოდენობა გაფუჭებილი ან გატეხილია, შეკეთებისა და შეცვლისთვის სათანადოდ არ ზრუნავენ. ინჟინერმა მ. კაციტაძემ თათბირის ყურადღება გაამახვილა დეპოს შენობების მდგომარეობაზე. შენობებში, — განაცხადა მან, — წვიმა ჩამოდის, საამქროები ავსებულია სხვადასხვა ნაგვით, რაც იმას მოწმობს, რომ მაღალი საწარმოო კულტურის დანერგვისათვის აქ სათანადოდ არ ზრუნავენ. ამხ. პ. ზაგაროვსკი შეეხო საყოფაცხოვრებო საკითხებს. მან თქვა, რომ თბილისის საორთქლმავლო დეპოს, საერთო საცხოვრებლის ფანჯრები ჩამტვრეულია, ოთახები მოუწყობელია, არ არის მოწყობილი აბანო და სხვ.

დეპოს პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ი. ლეარსაბოვმა ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს, რომ დეპოს კოლექტივი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს ზამთრის სეზონს.

კამათში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ამიერ-კავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილემ ამხ. ლ. ნოეოსარდოვმა.

თათბირმა მიიღო სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი.

ხაშურელი მელიანდაგეების მისაბაძი ინიციატივა

ხაშური („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). ხაშურის სალიანდაგო დისტანციის მოწინავე ადამიანებმა გზის ოსტატებმა გიორგი გაგნიძემ და ნიკოლოზ გორგაძემ, ბრიგადირებმა პ. დათუნაშვილმა და რ. რაზმაძემ, ლიანდაგის მუშებმა გივი განგაძემ, ზ. ბლიადემ, ჩაჩანიძემ და ნოზაძემ შესანიშნავი თანოსნობა გამოიჩინეს. სამუშაოსაგან თავისუფალ დროს მათ ერთი თვის განმავლობაში დაამზადეს 1,500 ცალი შპალი, ამით შექმნილია საჭირო მარაგი იმისათვის, რომ ზამთრის პერიოდში რკინიგზის შეუფერხებელი მუშაობა უზრუნველყოფილ იქნას.

გზის უფროსის ბრძანებით ყველა მათგანს გამოცხადებული აქვს მადლობა და მიეცა ფულადი ჯილდო.

პ. ხაშურელი

მოწინავე გზის ოსტატები

რკინიგზელმა გზის ოსტატებმა იკისრეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავისათვის დაემთავრებინათ თავიანთი უბნებზე ზამთრის სეზონისათვის ლიანდაგის სანიმუშოდ მომზადება. ამ ვალდებულების წარმატებით შესასრულებლად გაჩაღებულ შეჯიბრებაში თავი ისახელეს და ზამთრის სეზონისათვის გათვალისწინებული სამუშაოები ყველაზე ადრე დაამთავრეს სადგურ საჯევახოს გზის ოსტატმა ამხ. შ. ამბვიდობაძემ, სვირის სადგურის გზის ოსტატმა ა. თურქიამ, ძირულის სადგურის გზის ოსტატმა ვ. ჭიპაშვილმა, ხარაგოულელმა გზის ოსტატებმა პ. კიკნაძემ და ი. მჭედლიძემ.

კარგად იმუშავეს აგრეთვე ამხ. გ. წითელაშვილმა (მარელისი) და ამხ. ა. შარვაძემ. (ვომი).

ზამთრის სეზონისათვის გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად მათ ოჯახის წევრებიც დაიხმარეს.

დღეიდან

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

„მოკავშირეთა ჯარები კვლავ განუწყვეტლივ მიიწევენ წინ ლეოპოლდის არხის ჩრდილოეთით. მტრის წინააღმდეგობა რამდენადმე შესუსტდა; მოკავშირეთა ჯარებმა 1,000-მდე იარღით წაიწიეს წინ. მოგერიებულია მოწინააღმდეგის უმნიშვნელო კონტრიერიში.

ჰოლანდიაში სოლად შეჭრის რაიონის აღმოსავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა წაიწიეს წინ ვენრაის მახლობლად.

მოკავშირეთა ჯარების ნაწილები კვლავ ნელა მიიწევენ წინ აახენში და ყოველი სახლისათვის ეწევიან ბრძოლებს. აახენის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ვიურსელენის მახლობლად, მტერი გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევს. მოწინააღმდეგ არტილერიისა და ნაღმსატყორცნთა ძლიერ ცეცხლს უშენს ოფდენის რაიონს.

ვოგეზების მთისძირებში მოკავშირეთა ჯარების ნაწილებმა მოიგერიეს მტრის მრავალრიცხოვანი კონტრიერიშები. ლე-ტილოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მოკავშირეთა ჯარები განაგრძობდნენ წინსვლას მდინარე მოზელოტის აღმოსავლეთით. ამ უბანზე ზოგიერთ პუნქტში ძმიმე ბრძოლები სწარმოებდა“.

მოკავშირეთა ავიაცია ეხმარებოდა სახმელეთო ჯარებს და თავს ესხმოდა მოწინააღმდეგის სამხედრო ობიექტებს ბრძოლების ზონაში.

ლონდონი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). სამაარი „მოქმედების“ ბელგიაში ბელგიის პარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია: „რომ მე-8 არმიის ნაწილები გამბეტოლოს კავების შემდეგ ფართო ფრონტით მიწევენ წინ ბოლონიისაკენ მიმავალი გზატკეცილის ჩრდილოეთითა და სამხრეთით. პუნქტში მე-8 არმიის ნაწილები მდინარ ვიოს უახლოვდებიან. ბოლონიის სამხრეთ გააფთრებული ბრძოლები გრძელდება. მტერ ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, მ არმიის ამერიკელთა ნაწილებმა დაახლ 1,000 იარდით წაიწიეს წინ.

11 ოქტომბერს ღამით ინგლისის მსტ ბომალდებმა ადრიატიკის ზღვაში კუნ ვირის ნაპირებთან სროლა აუტეხეს მ რამდენიმე საბადრაგო გემს. ამას მო ძლიერი ბრძოლა, რომელშაც ხუთ საათს ტანა. ბრძოლის შედეგად მოწინააღმდეგის გემი ჩაძირული ან დაზიანებულია. 12 ტომბერს გვიან საღამოს კორფუს ნაპ დელში ინგლისის გემები შეეიდნენ.

მძიმე ბომბდამშენთა დიდმა შენაერთ ავიაგამანადგურებელთა თანხლებით 16 ტომბერს დაბომბეს ნავთსაწმენდი ქარხნ საავიაციო ქარხნები და დამხმარისხებელი დგურები გერმანიაში, ავსტრიისა და ჩ სლოვაკიაში.

ავიაციის სხვა შენაერთები მოქმედებ ბრძოლების რაიონში და იუგოსლავიაში.

სირიის ახალი კაბინეტის შემადგენლობა

ბეირუთი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც დამასკოდან გადმოგვცემენ, ძველი კაბინეტის გადადგომასთან დაკავშირებით იქ ჩამოყალიბდა სირიის ახალი კაბინეტი. კაბინეტის შემადგენლობა ასეთია: პრემიერ-მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი — ფაიზ კური, იგივეა საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი, საგარეო საქმეთა, თავდაცვისა და ნაციონალური ეკონომიკის მინისტრი—ჯამილ მარდამ ბეი, ფინანსთა მომარაგების მინისტრი—ჰალედ-აზემი, ინფორმაციისა და ინფორმაციის მინისტრი—ალრაჰმან კაიალი.

გაჯაჯგა ფრანსიოფდანის პრემიერ-მინისტრი

ლონდონი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, დღეს ღილით გადადგა ტრანსაორდანიის პრემიერ - მინისტრი ტევფიკ-ფაშა-აბდ ჰუდა, რომელსაც ეს პოსტი ექვსი წ განმავლობაში ეკავა.

შვეიცარიის მიერ გერმანიაში ბურთულასაკინარების გაგზავნის შესახებ

სტოკჰოლმი, 16 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „დაგენს ნიუჰეტერი“ სწერს: „შვეიცარიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის შეკითხვის პასუხად საგარეო საქმეთა სამინისტრო აღასტურებს, რომ ამერიკის პრესაში გამოქვეყნებული ცნობები შვეიცარიის მიერ გერმანიაში ბურთულასაკინარების გატანის შ ყვეტის შესახებ სწორია, საგარეო საქმეთ მინისტროს ცნობით, ეს ექსპორტი სწყდებ

ბრიტანეთის ფრედ-უნიონების კონგრესის გახსნა

ბლეკპული, 17 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ აქ გაიხსნა ბრიტანეთის ტრედ-უნიონების კონგრესი. გახსნისას თავმჯდომარეობდა მაღალოლეთა საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი და ტრედ-უნიონების გენერალური საბჭოს თავმჯდომარე ედვარდსი.

ესწრება 725 დელეგატი, მათ შორის 28 ქალი. კონგრესის გახსნას დაესწრო საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია ამხ. კუზნეცოვის მეთაურობით, საფრანგეთის შრომის ყოველთაო კონფედერაციის თავმჯდომ საიანი, რომელიც ამაე დროს წინაალმდ ბის ნაციონალური საბჭოს თავმჯდომა სრულიად-ინდოეთის პროფკავშირთა კონგ სის თავმჯდომარე დანგე, ინგლისის ლეი რისტული პარტიის წარმომადგენელი ე ვილკინსონი და სხვები.

ციცრის სეზონის გახსნა

თბილისის სახელმწიფო ციცრის სეზონს იწყებს 20 ოქტომბერს. პირველ პროგრამაში უმთავრესად გამოვლენ მოსკოვის საცირკო ფესტივალის მონაწილენი: კონნილოვი მოეკავკავე სპილოებით, ბარანენკო (პაერში ფრენა), ფილატოვი გაწრთვნილი დათვებით, შირიაი (ეონგლეიორი), სტაროდუბცევთა ჯგუფი (იკარიული თამაში), ბელიაკოვის ჯგუფი (აკრობატები), მაკეევთა ჯგუფი (მუსიკალური ბუფონადა), პ. ლავროვი (ახალი რეპერტუარით), ცხომელიძე და სხვ. პაუზებს ავსებს ხუმარა ბირიუკოვი. პროგრამა შესრულდება ჯაზორკესტრის თანხლებით (მუსიკალური ნაწილის გამგე მკრტიჩიანი, დირიორი ოსიპოვი).

წელს სეზონში ციცრის დირექცია (დირექტორი ლ. კავსაძე) საინტერესო ნომრებს აპაზადებს. ახლო მომავალში ჩამოვა ბუსლაევთა ჯგუფი გაწვრთნილი ლომებითა და სხვა მხეცებით. სეზონის დ